

## პირველად მეოთხედფინალში

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 5 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "უოტერფორდი" (ირლანდია) 4:0 (0:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჭირი (ჭილაია), დარასელია, სულაქველიძე, უვანია (ჯოხაძე), ჩელეებაძე, ყიფიანი, შენგელია.

"უოტერფორდი": თომასი, ომახონი, გარდნერი, ფინიუკანი, დანფი, ჯექსონი, მურეი, მედიგანი, კირკი, მაკარტი, მიგანი.

მსაჯი: ი. უიუოვი (ბულგარეთი)

გაფრთხილებულია მიგანი.

როცა "უოტერფორდისა" და თბილისის "დინამოს" პირველი შეხვედრა დამთავრდა (ირლანდიაში თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0), "უოტერფორდის" მოთამაშე-მწვრთნელმა თ. ჯექსონმა განაცხადა: "ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ თბილისელებთან გამარჯვების მოპოვება ძალზე რთული ამოცანა იყო. თბილისის "დინამო" კარგი გუნდია და ახლა ადვილად მისახვედრია, თუ რატომ დაამარცხა მან შარშან ინგლისის "ლივერპული".

ნიშნავდა თუ არა მოთამაშე-მწვრთნელის ეს სიტყვები მისი კლუბის ერთგვარ კაპიტულაციას განმეორებითი მატჩის წინ? თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად საწინააღმდეგო ნოტები გაისმა იმავე თ. ჯექსონის განცხადებაში, რომელიც მან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში გააკეთა თბილისის აეროპორტში: წარმატების იმედით ვართ გამსჭვალულიო. მართლაც, შინ რომ წააგებ ევროპული ტურნირის მატჩს, გასვლაზე ასეთი ოპტიმისტური განცხადებისთვის ნაკლები საფუძველი უნდა გქონდეს.

ასეა თუ ისე, გარკვეული ინტრიგა მატჩის წინ შეიქმნა.

მართლაც, პირველმა ტაიმმა თბილისელებს ვერაფერი მოუტანა, თუმცა ინიციატივა – სრული, უდავო – მათ ეკუთვნოდათ და ბურთი გამუდმებით ტრიალებდა სტუმართა ნახევარზე. ის ერთი-ორი შეტევა, ირლანდიელებმა რომ წამოიწყეს, საჭარმოს მისადგომებთანავე ჩაფუშეს მასპინძელთა მცველებმა და ჩვენს მეკარეს სერიოზული საქმე არც გაჩენია.

ასეთ ვითარებაში გადიოდა წუთები, თბილისელთა შეტევას შეტევა მოსდევდა, მაგრამ "უოტერფორდის" მეკარე მონოღების სიმაღლეზე იდგა. თუმცა იყო მომენტები, როდესაც ყიფიანის, შემდეგ კი უვანიას დარტყმები კარის ძელმაც მოიგერია, მაგრამ საერთო ჯამში თბილისელთა შეტევებს აკლდა სიმწვავე, მოულოდნელობა, ანგარიშის გაუხსნელობა ალბათ ამანაც განაპირობა...

მეორე ტაიმი თითქმის პირველის ანალოგიით დაიწყო – ირლანდიელთა ნახევარი, მათი საჭარმო მოედანი თბილისელთა გამუდმებული შეტევის ობიექტად იქცა. სტუმართა მეკარე თომასის მზადყოფნა რამდენჯერმე "მოსინჯა" ყიფიანმა, შემდეგ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდნენ შენგელია, სულაქველიძე, ჩელეებაძე...

როგორც ამბობენ, გოლი მწიფდებოდა. ამას გვაფიქრებინებდა არა მხოლოდ ხშირი შეტევები, არამედ ისიც, რომ თბილისელებმა ტემპს უმატეს, და აი, 66-ე წუთზე დინამოელებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს დარასელიას სწრაფი გარღვევისა და მოულოდნელი, ძალზე ზუსტი დარტყმის შემდეგ. 74-ე წუთზე კი ჩივაძემ კარგად შეურჩია ადგილი კოსტავას გადაცემას – 2:0.

მასპინძლებს უკვე განადღებული ჰქონდათ მეოთხედფინალის საგზური, მაგრამ, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ – მეოთხედურად გააგრძელეს შეტევები. წინა პოზიციებზე გადიოდნენ არა მარტო ნახევარდაცვის, არამედ დაცვის მოთამაშეებიც კი. მონდომებამ და სპორტულმა ჟინმა დინამოელებს და მათთან ერთად მრავალრიცხოვან მაყურებლებს ახალი სიხარული მოუტანა: ჯერ დარასელიამ აიღო მეტოქის კარი, შემდეგ კი ჭილაიამ დასვა საბოლოო წერტილი – 4:0.

ამრიგად, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალურ ეტაპზე თბილისის “დინამომ” დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია და გავიდა გათამაშების მეოთხედფინალში. ეს დიდი წარმატებაა თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპული ტურნირის მეოთხედფინალში დინამოელებს ჯერ არ უთამაშიათ, თუმცა სამივე გათამაშებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 6 ნოემბერი, 1980 წ.